შსპს ბიულეტენი 2013 წ 28 აგვისტო პოზ. 27

2013წ. 31 დეკემბრის ცვლ. შსპს-ს ბიულეტენში 2013წ. 30 დეკემბრის პოზ. 38 (რომელიც ეხება §3 პუნქ.1 ქვეპუნქ.4 a)

ბრძანება Nr 26

შრომისადა სოციალური პოლიტიკის მინისტრის

2013 წ. 28 აგვისტო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ კონვენციის დებულებების განხორციელების საკითხების ჯგუფის დანიშვნის საკითხში

1996წ. 8 აგვისტოს მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის 7 მუხ. 4 პუნქ. 5 ქვეპუნქ. საფუძველზე (ს.მ. 2012 წ. პოზ. 392) **ვბრძანებ**:

§ 1.

შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროში, შემდგომში მოხსენებული როგორც "სამინისტრო", დაინიშნოს ჯგუფი შშმ პირების უფლებების შესახებ კონვენციის დებულებების განხორციელების საკითხებში, შემდგომში მოხსენებული როგორც "ჯგუფი", რომელსაც ეკისრება კოორდინაციის მექანიზმის ფუნქცია მინისტრთა საბჭოს შშმ პირების უფლებების შესახებ კონვენციის (ნიუ იორკი 2006 წ. 13 დეკემბერი (ს.მ. 2012 წ. პოზ.1169)) შემდგომში მოხსენებული როგორც "კონვენცია" დებულებების განხორციელების საკითხებში მუშაობაზე.

§ 2.

ჯგუფის ამოცანებია:

1) კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის ინფორმაციის გაცვლა;
2) დაგეგმილი სამართლებრივი გადაწყვეტების ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, რომლებიც ეხება შშმ პირებს ან შესაძლოა ჰქონდეს გავლენა მათ სიტუაციაზე;

3) თანამშრომლობა მინისტრთა საბჭოს მიერ ანგარიშგებების მომზადებაში, რომლებზეც საუბარია კონვენციის 35 მუხ., რომლებიც ეხება მისგან გამომდინარე ვალდებულებების რეალიზაციას.

§ 3.

1. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:
   1) თავმჯდომარე – მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შშმპ საკითხებში;
   2) თავმჯდომარის მოადგილე – შშმპ საკითხებში მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელის ოფისის დირექტორი;
   3) მდივანი;
   4) სხვა წევრები:
      a) თითო წარმომადგენელი დირექტორის ან დირექტორის მოადგილეს რანგში შემდგომი უწყებებიდან:
         – ადმინისტრაციისა და ციფრიზაციის სამინისტრო,
         – განათლების სამინისტრო,
         – ფინანსთა სამინისტრო,
         – ეკონომიკის სამინისტრო,
         – კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო,
         – მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო,
         – თავდაცვის სამინისტრო,
         – სოფლისმეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო,
         – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო,
         – სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო,
         – იუსტიციის სამინისტრო,
         – შინაგან საქმეთა სამინისტრო,
         – საგარეო საქმეთა სამინისტრო,
         – გარემოს დაცვის სამინისტრო,
         – ჯანდაცვის სამინისტრო,

b) თითო წარმომადგელენი, გამოყოფილი სამინისტროების შემდგომი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის მიერ:
   - შშმპ საკითხებში მთავრობის სრულუფლებისანი წარმომადგენელის ოფისი,
   - ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზების დეპარტამენტი.

2. ჯგუფის შემადგენლობისთვის, რომელზეც საუბარია 1 პუნქ. 2-4 ქვეპუნქ. ინიშნებიან მუდმივი მოადგილეები.
3. ჯგუფის წევრზე კანდიდატებს, რომლებზეც საუბარია 1 პუნქ. 3 და 4 ქვეპუნქ., აგრეთვე მოადგილეებზე წარადგენენ სამმართველოები ან სამინისტროების დაინტერესებული ორგანიზაციული ერთეულები.
4. ჯგუფის წევრების, რომლებზეც საუბარია 1 პუნქ. 3 და 4 ქვეპუნქ. აგრეთვე მოადგილეებს ნიშნავს და ხსნის შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრი, შემდგომში მოხსენებული როგორც "მინისტრი".
5. მინისტრმა შეიძლება მოხსნას ჯგუფის წევრი აგრეთვე მოადგილე დასაბუთებულ მოთხოვნაზე:
   1) ჯგუფის თავმჯრომარის;
   2) პირების, რომლებზეც საუბარია 4 ქვეპუნქ.

§ 4.

1. ჯგუფის წევრები პირადად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. მათი მონაწილეობა ჯგუფის შეხვედრებში არის სავალდებულო.
2. ჯგუფის წევრის შეხვედრაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის არქონის შემთხვევაში, მას შეცვლის მოადგილე.
3. მონაწილეობა ჯგუფის შეხვედრებში და მუშობაში ხდება სამსახურეობრი მოვალეობების შესრულების ფარგლებში. გუნდში მონაწილეობაში გუნდის წევრებს და არც მოადგილეებს არ ეკუთვნით დამატებითი ანაზღაურება.
4. ჯგუფის შეხვედრებში შეიძლება მიიღონ მონაწილეობა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ მოწვეული სხვა პირები, განსაკუთრებით სამინისტროების სხვა ერთეულების ან შშმპ საკიტხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

§ 5.

1. ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობს ჯგუფის თავმჯდომარე.
2. ჯგუფის თავმჯდომარის მოვალეობებში შედის:
   1) ჯგუფის შეხვედრების მოწვევა;
   2) ჯგუფის მიზნების განსაზღვრა;
   3) სათანადო უწყებებში მიმართვა ჯგუფის ამოცანების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღების მიზნით.
3. ჯგუფის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.
4. ჯგუფის თავმჯდომარე თავისი ამოცანების შესრულების დროს სარგებლობს ჯგუფის მდივნის დახმარებით.
5. ჯგუფის მუშაობა შეიძლება განხორციელდეს ინფორმაციის გაცვლის სისტემით, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

§ 6.

ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობებში შედის:

1) ორგანიზაციულ საკითხებში შეთანხმებების წინადადებების წარდგენა;
2) ჯგუფის შეხვედრების პროტოკოლების შედგენა;
3) ჯგუფის შეხვედრებზე ჯგუფის წევრების თანდასწრების დოკუმენტირება;
4) დოკუმენტაციის შენახვა;
5) ჯგუფის თავმჯდომარის მიერ სხვა დავალებების შესრულება.

§ 7.

1. ჯგუფი იწყებს მუშაობას დანიშნვის დღეს.
2. ჯგუფის შეხვედრები იმართება მინიმუმ 3 თვეში ერთხელ.
3. სხდომაზე შედგენილ ოქმს ხელს აწერს ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის მდივანი.
4. ჯგუფის ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შშმპ საკითხებში მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელის ოფისი.

§ 8.

ბრძანება ძალაში შედის გამოცხადების მეორე დღეს.

შრომისა და სოციალური
პოლიტიკის მინისტრი

ვლადისლავ კოსინიაკ-კამიშ